22/07/2025

MES 4 25 0000898575

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.07.2025წ
სხდომის დაწყების დრო: 14:14
სხდომის დასრულების დრო: 18:38
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (II, III, IV, V საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი -** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური -** შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი -** შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

8. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი -** შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
11. **მზია წიკლაური -** შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **ქრისტინე ახალაძე -** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
16. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

- კახაბერ ლაზარაშვილი - დაწესებულების ხელმძღვანელი;
- დავით ბოსტოღანაშვილი - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ეკა გიგაშვილი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
- ეკა ლუაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ტრისტან გულბიანი - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
- მაია ხურცილავა - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- ანა აბისონაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სპეციალისტი
- მერაბ მეტრეველი - - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი
- კახაბერ ხვედელიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი
- ქეთევან ბერიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- თეა ადამია - მოწვეული ლექტორი

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

- აკაკი ჭელიძე - რექტორი;
- დიმიტრი გეგენავა -პრორექტორი;
- ნანო პაჭკორია - ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი;
- ივანე ოქრომჭედლიშვილი - აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თამარ ქობულაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- ვაჟა ვარდიძე - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

- პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის რექტორის მოადგილე;
- თამარ რემიშვილი- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
- ნათია მაისურაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
- ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი;
- პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე - მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
- ნინო ისაკაძე - მაგისტრატურის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

აკრედიტაციის ექსპერტები

I საკითხი:

ა) მილან პოლი (Milan Pol) (თავმჯდომარე);
ბ) დიანა მჭედლიშვილი (წევრი);
გ) თამარ მიქელაძე (წევრი);
დ) ქეთევან თოდაძე (წევრი);
ე) ელზა მაკარაძე (წევრი)
ვ) ირმა ქურდაძე (წევრი);
ზ) ანა გვრიტიშვილი (წევრი).

II საკითხი

ა) იგორ პანტიჩი (Igor Pantić) (თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა საგანელიძე (წევრი);

გ) ია ფანცულაია (წევრი);
დ) ნინო პატარაია (წევრი);
ე) გიორგი მღვდელაძე (წევრი).

III საკითხი
ა) სტეფან ჰანდკე - Stefan Handke (თავმჯდომარე);
ბ) ხვიჩა ბერიძე (წევრი);
გ) ნინო ფავლენიშვილი (წევრი);
დ) ნინო პატარაია (წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (წევრი).

IV საკითხი
ა) რევაზ ტაბატაძე

V საკითხი
ა) სტეფან ჰანდკე - Stefan Handke (თავმჯდომარე);
ბ) გვანცა აბდალაძე (წევრი);
გ) თინათინ ქაროსანიძე (წევრი);
დ) ნინო პატარაია (წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (წევრი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ (I საკითხი), სხდომის თავმჯდომარე ქეთევან აფთარაშვილი **(II, III, IV,V საკითხი).**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, "განათლების კვლევების და ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, "განათლების კვლევების და ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **პირველი საკითხი:** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, "განათლების კვლევების და ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ქეთევან აფთარაშვილი; ციური დურული.
აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მილან პოლი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული როგორც ცენტრის, ისე დაწესებულების მხრიდან. ხაზი გაესვა იმასაც, რომ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, რომელიც წარადგინა დაწესებულებამ, საკმაოდ მოწესრიგებული იყო, რამაც საშუალება მისცა ექსპერტთა გუნდს სწორი წარმოდგენა შექმნოდა აღნიშნული პროგრამების მიზნებსა და სტრატეგიებზე. კლასტერში წარმოდგენილი სამივე საფეხურის პროგრამა - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა; განათლების კვლევების სამაგისტრო პროგრამა და განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა. სამივე პროგრამა ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაშია. კლასტერში წარმოდგენილია მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს ჩამოყალიბდნენ, როგორც სრულყოფილად კვალიფიცირებული მასწავლებლები სხვადასხვა მიმართულებით.
პროგრამაზე არ სწავლობს ბევრი სტუდენტი. საბაკალავრო პროგრამაზე, რომელმაც ახლახან მიიღო აკრედიტაცია, მხოლოდ 5 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია. სამაგისტრო საფეხურზე ირიცხება 100-ზე მეტი სტუდენტი, სადოქტოროზე — 13 სტუდენტი, ხოლო მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე — 33 სტუდენტი. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამები ლოგიკურად არის აგებული, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას, დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით, ითვალისწინებს სტუდენტთა სერვისებს, ზედა საფეხურებზე თვალსაჩინოა კვლევითი აქტივობები და წარმოდგენილია პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურაც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამები სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.
ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხება განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას. ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაძლიერებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგივე შეიძლება ითქვას სადოქტორო პროგრამაზეც. კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხება იმ სტუდენტებისთვის ეფექტური გზების შემუშავებას, რომლებსაც არ გააჩნიათ განათლების მეცნიერების მაგისტრის ხარისხი. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ამ ცოდნის შევსებაზე.
ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე რჩევაც, რომლებიც ძირითადად ტექნიკურ საკითხებს მოიცავს — მაგალითად, სტუდენტებისთვის უკუკავშირის ფორმალიზება; სამეცნიერო აქტივობების შესაბამისი წახალისების მექანიზმების შემუშავება; და ჰიბრიდული მოდელის გათვალისწინება სწავლებაში, რომელიც ამ ეტაპზე დაშვებულია. გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკის ერთი მაგალითიც, რომელიც ეხება ძლიერ გარე შეფასებას: უნივერსიტეტი გადის გარე შეფასებას, რომლის ფარგლებშიც იღებს უკუკავშირს, რაც პროგრამების გაუმჯობესებას ემსახურება. საბოლოო ჯამში, ექსპერტთა შეფასება იყო დადებითი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხე, ანალოგიების დოკუმენტი და გარე შეფასება ინსტიტუციის ძალიან ძლიერი მხარეა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

კახაბერ ლაზარაშვილმა პირველ რიგში მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით მუდმივი გაუმჯობესების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი მაგალითია უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული 3-დღიანი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „განათლება, როგორც კეთილდღეობის კატალიზატორი“, რომელმაც მნიშვნელოვანი გამოხმაურება გამოიწვია. ამასთან, დაგეგმილია მრავალი პროექტი განვითარების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, აღნიშნა, რომ სულ სამი რეკომენდაციაა წარმოდგენილი, რომელთაგან ორი იდენტური ხასიათისაა და სხვადასხვა პროგრამას ეხება. რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამსთან მიმართებით უნდა გადადგას სტრატეგიული ნაბიჯები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. აღინიშნა, რომ მსგავსი მიდგომა უკვე არსებობს უნივერსიტეტში და ის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ხაზი გაესვა იმასაც, რომ რეკომენდაცია სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის ხედვასთან, რის გამოც დაწესებულება იზიარებს მას და აღნიშნული ნაბიჯები უკვე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

მეორე რეკომენდაციის თანახმად, - *რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენების შესაძლებლობა, რაც იმ სტუდენტებს, რომლებიც პროგრამაში განათლების მეცნიერების მაგისტრის ხარისხის გარეშე ირიცხებიან, საშუალებას მისცემს, შეავსონ ამ მიმართულებით არსებული ცოდნის დანაკლისი.* დავით ბოსტოღანაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე ითვალისწინებს გარკვეულ აქტივობებს და შესაბამის მოთხოვნებს უყენებს კანდიდატებს. შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც მისაღებია დაწესებულებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ვლადიმერ ადეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კითხვით მიმართა დაწესებულებას მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამაში ჩამოწერილია კურსები, თუმცა მათემატიკის საგანს არ აქვს მითითებული საფეხური, რის შესახებაც მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს ტექნიკური პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს შესაძლოა ტექნიკური ხარვეზი იყოს, რადგან ყველა საგანი წარმოდგენილია საბაზო/საშუალო საფეხურით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ინგლისურ ვერსიაში ცხრილში მითითებულია მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხური.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კვლავ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, საგნობრივი მეთოდიკების მოდულის ფარგლებში, რომელიც მოიცავს 12 კრედიტს, კერძო მეთოდიკას კი 6 კრედიტს, კურსი „სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები“ ყველა მიმართულების სტუდენტისთვის ერთობლივად ტარდება თუ ცალკე კურსად თითოეულ მიმართულებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგადი საკითხები მიეწოდება ყველა სტუდენტს, რაც შეიძლება განზოგადდეს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებისთვის, შემდეგ ხდება კონკრეტული მიმართულების შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

სამბჭოს წერმა, ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 1.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რჩევის შესახებ. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს რჩევა და არა რეკომენდაცია, და რა ტიპის ხარვეზები გამოვლინდა. ასევე, 1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ რჩევაზე ჰკითხა, რამდენად რეალიზებადია იგი.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსი ყველა სწავლის შედეგზე გადიოდა, რის გამოც რჩევის სახით იქნა წარმოდგენილი და არა რეკომენდაციის სახით. მეორე კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების ჩასმა ვერ იქნება რეკომენდაცია, რადგან ეს სრულად დამოკიდებულია დაწესებულებაზე.
საბჭოს წერმა, თამარ ზარანდიამ ექსპერტებს მიმართა კითხვით ინგლისური ენის მკაცრი დაცვის/აღსრულების რჩევასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია ამ რჩევის გაცემა.
ექსპერტმა, მილან პოლმა განმარტა, რომ ჯგუფში მსჯელობა მიმდინარეობდა იმაზე, რომ ზოგადად ინგლისური ენის ცოდნა უნდა იყოს მოთხოვნილი, ან დაწესებულებამ მკაფიოდ უნდა გაუსვას ხაზი ამ მოთხოვნას სხვადასხვა საფეხურის პროგრამებში, განსაკუთრებით — უფრო მაღალ დონეზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ 1.4 ქვეკრიტერიუმთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძველი იკითხა, რადგან, მისი თქმით, დაწესებულებას მიღების წინაპირობები მკაფრად და ვრცლად აქვს გაწერილი.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ კონკრეტული საგნის მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელია საგნის ან საგნობრივი ჯგუფის საბაკალავრო პროგრამის არსებობა. რეკომენდაციის გაცემის საფუძველი კი არის სამომავლო რისკების გათვალისწინება.
მილან პოლმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის ჩამოყალიბების საფუძველი იყო ის, რომ განსაკუთრებით განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამებზე აპლიკანტებს ხშირად აქვთ წინარე გამოცდილება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ირჩევენ საკვლევ თემას, თუმცა არ აქვთ ზოგადი წარმოდგენა განათლების მეცნიერებების შესახებ. ეს კი სარისკოა, რადგან შესაძლოა აპლიკანტი კარგად ერკვეოდეს ვიწრო მიმართულებაში, მაგრამ არ ფლობდეს ზოგად წარმოდგენას დარგის შესახებ.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ზოგადი ხასიათისაა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ძალიან ცხადად აქვს გაწერილი დაშვების წინაპირობები: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე და შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე — C1 დონე და ასევე საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი, უნივერსიტეტი ტესტირებას ატარებს ოთხივე კომპონენტში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:06
დასრულების დრო: 15:38
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (08/07/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეილებით **შპს აღმოსავ ლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების"** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (08/07/2032).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "განათლების კვლევების და ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (08/07/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით **შპს აღმოს ავლეთ ევროპის უნივერსიტეტის** "განათლების კვლევების და ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (08/07/2032).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (08/07/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით **შპს აღმოსავ ლეთ ევროპის უნივერსიტეტის** "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (08/07/2032).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავ ლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (08/07/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით **შპს აღმოსავ ლეთ ევროპის უნივერსიტეტის** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (08/07/2032)

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2025 წლის 08 ივლისს. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს სხდომა დატოვა თავნჯდომარემ ლევან შავაძემ, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ ქეთევან აფთარაშვილმა (II, III, IV,V საკითხი)

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი იგორ პონტიჩი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი გაიმართა 2025 წლის აპრილში და შეფასდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტმა საკმაოდ სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე და მოიცავს 140 კრედიტს 4 სემესტრის მანძილზე. კრედიტები განაწილებულია სამაგისტრო ნაშრომზე, სავალდებულო და არჩევით კურსებზე. აღინიშნა, რომ 19 აკადემიური და მოწვეული პირი არის ჩართული პროგრამის განვითარებაში, რომელთაგან 7 ფლობს დოქტორის ხარისხს. ვიზიტი განხორციელდა უშუალოდ დაწესებულებაში, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დოკუმენტები, რომლებიც მოიცავდა თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამას და სილაბუსებს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ა. შ. აღნიშნულზე დაყრდნობით პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს, მიზნებს და სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტმა გამოავლინა ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის გამართული სისტემა და ასევე, პერიოდული მონიტორინგის სისტემა. დასკვნაზე არგუმენტირებული პასუხი წარადგინა დაწესებულებამ, რომელიც ექსპერტებმა გაიზიარეს და, შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მაია ხურცილავამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაზე გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს შეესაბამება, ანუ პროგრამაზე შეზღუდვა არ არის. თუმცა იმისათვის, რომ პროგრამის შედეგი იყოს მიღწეული დაწესებულებას აქვს კანონმდებლობით გაწერილი შიდა გამოცდა, სადაც სტუდენტები იმ მინიმალურ ცოდნას ადასტურებენ, რომელიც საჭიროა პროგრამაზე სწავლისთვის. რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებასთან მიმართებით ხაზი გაესვა, რომ რადგანაც პროგრამაზე 3-დან 6 სტუდენტამდე ირიცხება, დაწესებულება ვერ იყენებდა რაოდენობრივ კვლევებს, თუმცა სხვა პროგრამის ფარგლებში ეს გამოცდილება არის. დაწესებულება იზიარებს იმასაც, რომ შრომის ბაზრის შეფასება მუდმივად საჭიროა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წერმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტთა გუნდს 1.5 კომპონენტთან მიმართებით. მას აინტერესებდა, რა იგულისხმება ამ რეკომენდაციაში, სილაბუსებში არ არის გასაზღვრული თემატიკა, თუ გასაუბრების დროს ვერ გამომჟღავნდა პერსონალის მხრიდან ინფორმაციის ცოდნა.
ექსპერტმა, იგორ პანტიჩმა განმარტა, რომ თავისი ბუნებით ზოგადი რეკომენდაციაა და შეიძლება იყოს რჩევაც. ეს რეკომენდაცია გაიცა უფრო კვლევების მიმართულებით. რადგანაც თანამედროვე სამყაროში საკმაოდ სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები აუცილებელია, რომ ფეხი აუწყოს დაწესებულებამ, თუმცა ეს რეკომენდაცია არ გულისხმობს რაიმე რადიკალურ ცვლილებას სასწავლო გეგმაში.
მეორე კითხვით ციური დურულმა კვლავ ექსპერტთა გუნდს მიმართა. მას აინტერესებდა, რატომ გაიცა წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, როცა კანონმდებლობით ნებადართულია, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდეს განსაზღვრული წინაპირობები.
იგორ პატრიჩმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიზანი იყო თანმიმდევრულობის, სიზუსტისა და სიცხადის უზრუნველყოფა.
საბჭოს წერმა, ირინა ლობჟანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას 1.3 ქვესტანდარტში არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აინტერესებდა თუ რა ტიპის რუბრიკებზე იყო საუბარი.
ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ განმარტა, რომ რადგანაც სამაგისტრო პროგრამებზე ირიცხება რამოდენიმე სტუდენტი აღნიშნული კვლევები ჩატარებული არ ჰქონდათ და ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია.
საბჭოს წერმა, ვლადიმერ ადეიშვილმა დაწესებულებას მიმართა კითხვით. საგნებს წინაპირობად დარგობრივი უცხო ენა აქვთ განსაზღვრული, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში უცხოენოვანი მასალა არ დასტურდება. შესაბამისად, მას აინტერესებდა რატომ არის დარგობრივი უცხო ენა წინაპირობად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულება ზრუნავს მუდმივად მიაწოდოს ახალი ინფორმაცია მაგისტრანტს, რადგან დარგი სწრაფად ვითარდება და ხშირად მიმდინარეობს სასწავლო მასალის განახლება. ინსტიტუცია თვლის, რომ საჭიროა პროფესიული ინგლისური ენის კურსის გავლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:12
დასრულების დრო: 16:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით - 31/12/2027 აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 31/12/2027.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 08 ივლისს. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

3. მესამე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ჰანდეკ შტეფანმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 აპრილს. ექსპერტთა გუნდს ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. დისკუსიები იყო ღია, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. პროგრამა ახალია და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებს მისცეს სიღრმისეული რეგიონული ცოდნა, გამოუმუშაოს სტრატეგიული ანალიტიკური უნარები და მოამზადოს კარიერისთვის დიპლომატიის თავდაცვის პოლიტიკის ანალიზის და აკადემიური მიმართულებებით. აღნიშნული ამბიცია ასახულია პროგრამის სტრუქტურაში, რომელიც მოიცავს პოლიტიკურად რელევანტურ და ინტერდისციპლინურ შინაარსს. პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, თუმცა გამოვლინდა ერთი სტრუქტურული ხარვეზი, რომელიც გავლენას ახდენს სასწავლო გეგმის თეორიულ საფუძველზე. ეს გახლავთ პოლიტიკის მეცნიერების საფუძვლების კურსის არსებობა პროგრამაში. თავდაპირველად ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია პროგრამაში დაემატებინა „პოლიტიკის მეცნიერების“

მოდული, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წერილში უნივერსიტეტმა წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტაცია და განმარტა, რომ არსებული კურსები უკვე მოიცავდა ძირითად კონცეფციებს და ცალკე მოდულის დამატებას შეიძლება გამოეწვია დუბლირება. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია ჩამოაყალიბა რჩევის სახით, რომელიც გულისხმობს „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური მეცნიერებათა“ კურსის გაფართოებასა და გაძლიერებას უფრო სიღრმისეული თეორიული შინაარსით, როგორიცაა საარჩევნო სისტემები, რეჟიმის სახეები და შედარებითი მმართველობა. დასკვნაში წარმოდგენილია 5 რჩევა, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დიმიტრი გეგენავა, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა გუნდს. წარმოდგენილი იყო რჩევა, რომლის მიხედვითაც პროგრამის ეფექტური განვითარების უზრუნველსაყოფად, კურსების განმახორციელებელი პერსონალი ან მოწვეული პერსონალი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს, იყოს დოქტორანტი ან სულ მცირე დარგის ექსპერტი. მას აინტერესებდა, რამდენ ადამიანთან გამოვლინდა ეს პრობლემა და რამდენადაა ეს რჩევა და არა რეკომენდაცია.
ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა განმარტა, რომ რჩევაა რადგან ასეთი პერსონალის რაოდენობა მცირეა. მათ არ მიჰყავთ სავალდებულო კურსები. ეს რამდენიმე პერსონალი პროგრამის განხორციელებას არ შეუშლის ხელს და ამიტომ არის რჩევა და არა რეკომენდაცია.
ციური დურულმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა პროგრამის ირგვლივ გაცემული რჩევა რას ეფუძნებოდა და რა კატეგორიის სტუდენტებთან ჩატარდა გასაუბრება.
ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა აღნიშნა, რომ მომიჯნავე პროგრამის, სამართლის, სტუდენტებთან ჰქონდათ გასაუბრება და ცნობიერების გაზრდა და დაინტერესება უფრო მეტი იყო, ვიდრე ცნობიერება. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ მოტივაცია იყოს მეტი და არა ის, რომ არ არიან ინფორმირებულნი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:19
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით. (31/12/2028)

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, (31/12/2028).

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 08 ივლისს. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

საბჭოს სხდომა დატოვეს ელიზბარ ელიზბარაშვილმა და თეა მჭედლურმა.

4. მეოთხე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

რევაზ ტაბატაძე, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ არსებულ პროგრამაზე გაცემული იყო 10 რეკომენდაცია და 8 რჩევა. ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა შრომითი ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს. გარდა ამისა, იყო გარკვეული რეკომენდაციები უშუალოდ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ფორმულირებულიყო არსებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით. რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა საგნების ინტეგრირებას საბაკალავრო პროგრამაში და ლიტერატურის განახლებას. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი 10 რეკომენდაციიდან 7 რეკომენდაცია სრულად გაიზიარა და ასახა პროგრამაში. დანარჩენი სამიდან 2 რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა და ერთი ნაწილობრივ. პირველი რეკომენდაციის ნაწილში უნივერსიტეტმა გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება და მემორანდუმი 3 უცხოურ უნივერსიტეტთან, თუმცა რეკომენდაცია გულისხმობდა შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველ შეფასებას. მეორე რეკომენდაციიდან გამომდინარე პროგრამაში ინტეგრირდა საგანი „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები და მის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში“. თუმცა, არსებული რეკომენდაცია, აგრეთვე, გულისხმობდა კვლევის მეთოდების ინტეგრირებას პროგრამაში. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა საგანი ჩანაცვლდეს „ლინგვისტიკისა და

ლიტერატურის კვლევის მეთოდების“ საგნით. გარდა ამისა, საგანი თუ იქნება ინგლისურენოვანი კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალურობას. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დამატებული საგნის ფორმულირების შეცვლაა საჭირო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ექსპერტს ეთანხმება უდიდეს ნაწილში. მათ აქვთ უკვე „ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევის მეთოდების“ საგანი. რომელიც ინგლისურად იქნება წაკითხული. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზრის კვლევის მიმართ გაცემულ რეკომენდაციას, ის დაწესებულებამ გაითვალისწინა ნაწილობრივ, რადგან საანგარიშო პერიოდისთვის ის მინიმალური ინტერვენცია, რაც შეიძლება გაეთვალისწინებინა ინსტიტუციას ის გააკეთა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა თუ მესამე რეკომენდაციას სრულად აკმაყოფილებს უნივერსიტეტი კვლევის მეთოდების ჩანაცვლება მაინც აუცილებელია თუ არა.

რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ეს აუცილებელია, რადგან პროგრამაში საუბარია ლინგვისტიკასა და ლიტერატურაზე. თავისი არსით სოციალური კვლევის მეთოდები განსხვავდება ლინგვისტური და ლიტერატურული კვლევის მეთოდებისაგან.

ციური დურულმა კითხვით კვლავ ექსპერტს მიმართა შრომის ბაზრის კვლევის რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა თუ რამ გამოიწვია რეკომენდაციის გაცემა და სად შეიძლება დასაქმდეს ინგლისური ენის კურსდამთავრებული.

რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა პოზიციაზე, შესაძლოა იმუშაოს თარჯიმნად და ა.შ. რეკომენდაციის გაცემის მიზეზი იყო ის, რომ არ იყო თავის დროზე წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტაცია თუ რომელი პროგრამები შეისწავლა დაწესებულება, როცა ის მუშაობდა ამ მიმართულებით. შესაბამისად, გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:47
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სულხან-საბა ორბელიანის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს სულხან-საბა ორბელიანის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ქეთევან ნანობაშვილმა განაცხადა თვითაცილება
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
შტეფან ჰანდკემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2025 წლის 22 აპრილს. მოხდა დოკუმენტაციის სიღრმისეული ანალიზი და გაიმართა შეხვედრები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომ გამოვლენილიყო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღინიშნა, რომ პროგრამა კარგად არის ჩაშენებული აკადემიის ინსტიტუციურ და სტრატეგიულ პროფილში, ასახავს ძლიერ ვალდებულებას და გადასცემს ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, რომელიც შეესაბამება საქართველოს უსაფრთხოების და თავდაცვის კონცეპტს. პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა ნატოს სტანდარტებთან შესაბამისი შინაარსი და პოლიტიკაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმა. ამავე დროს, ექსპერტთა გუნდმა გამოავლინა გასაუმჯობესებელი საკითხები. იმისათვის, რომ პროგრამა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტებს და საერთაშორისო პრაქტიკას. დასკვნაში ასახულია 7 რეკომენდაცია და 6 რჩევა, რომლებიც, ძირითადად, ეხება პროგრამის მიზნების გადახედვას იმისათვის, რომ უკეთ ასხოს პროგრამის სტრუქტურა, ინტერდისციპლინური ხასიათი და საერთაშორისო ორიენტაცია. სწავლის შედეგების შესაბამისი უზრუნველყოფა სავალდებულო სასწავლო კურსების შინაარსთან, როდესაც მოთხოვნილია ეროვნული რეგულაციები. ასევე, სასწავლო გეგმის გადახედვა და გამდიდრება დიპლომატიით, ეთიკით და საგარეო პოლიტიკის ანალიზის უფრო ძლიერი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებით. ლიტერატურის გაუმჯობესება და რამდენიმე ძირითადი და არჩევითი კურსის სილაბუსების განახლება. ასევე, „ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში“ სასწავლო კურსის შინაარსის და ორიენტაციის გაძლიერება. პრაქტიკული კომპონენტის ეტაპობრივად გაფართოებას და ერთმანეთთან დაკავშირებულ კურსებს შორის წინაპირობების გათვალისწინება. აკადემიამ დასკვნით პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ზოგადად დაეთანხმა რეკომენდაციებს, თუმცა ყურადღება გაამახვილა 1.1 და 1.5 წარმოდგენილ რეკომენდაციებზე, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის მიზნების გადახედვას და რამდენიმე სილაბუსის კორექტირებას. ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა 1.1 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაცია

პროგრამის მიზნების გადახედვასთან დაკავშირებით და დააკონკრეტა 1.5 კომპონენტში მითითებული რეკომენდაცია და მიუთითა საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკის და ღირებულების კურსზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამა მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ზურაბ ზერეკიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მიზნებისა და შედეგების გადახედვა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, დაწესებულებას კარგად ჰქონდა გაწერილი მიზნები, მათ რეკომენდაცია მაინც მიიღეს და გაითვალისწინეს. ინსტიტუციაში განხორციელდა ცვლილება და შესაძლოა, ეს სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია. ასევე, გაცემულია რეკომენდაცია წინაპირობებთან დაკავშირებით და დაწესებულება იზიარებს ამ მოსაზრებასაც და აუცილებლად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. 1.5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიაში ყოველწლიურად ხდება ლიტერატურის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლებულა. დანარჩენ რეკომენდაციებს დაწესებულება სრულად ეთანხმება.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ მიზანს დაწესებულება იცავს იმ ფორმით, როგორიც არის. იმ რეკომენდაციების შესაბამისად გატარებული ცვლილებები, რომელიც გასცა ექსპერტთა ჯგუფმა, პროგრამის მიზანზე გავლენას არანაირად არ მოახდენს, პირიქით გააუმჯობესებს და გააძლიერებს ამ პროგრამის მიზანს. ხოლო ლიტერატურის განახლება ხდება ყოველწლიურად ყველა კურსში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა რატომ გაიცა 1.5 რეკომენდაცია, რადგან ყოველწლიურად ვერ მოხდებოდა ლიტერატურის განახლება, ვინაიდან არის ახალი პროგრამა.

გვანცა აბდალაძემ განმარტა, რომ ლიტერატურის განახლებაში დაკონკრეტებულია კურსები, მათ შორის „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“, რომელთა სილაბუსების მუდმივი განახლება აუცილებელია. მიზნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად პროგრამას აქვს პრობლემა და ვერ განსაზღვრავს სწორად მიზნებს. ეს რეკომენდაცია ეხება მიზნების რეფორმურილებას და არა შინაარსობრივ ცვლილებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:35
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2028), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2028), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 08 ივლისს. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურუ ლად გამოცხადა 2025 წლის 08 ივლისის 18:38 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე